საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შუალედური ალტერნატიული ანგარიში

მიმართულება 4: სახელმწიფო სერვისების მიწოდება

2020 წლის პირველი ნახევარი

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები



საჯარო მმართველობის რეფორმის 2019 – 2020 წლების სამოქმედო გეგმის სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულებით მოცემული ამოცანების შესრულების დადასტურებისთვის განსაზღვრული ინდიკატორები და სამიზნე მაჩვენებლები, ხშირ შემთხვევაში, ამოცანას მნიშვნელობას ართმევს ან/და შეუძლებელს ხდის მისი შესრულების გაზომვას.

მართალია, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა წინასთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი გამოწვევები ცხადყოფს, რომ მოქმედი ამოცანები და ინდიკატორები კვლავ საჭიროებს დახვეწას S.M.A.R.T. კრიტერიუმების შესაბამისად. გარდა ამისა, ამოცანების რეალურად მისაღწევად აუცილებელია, მეტი აქტივობის განსაზღვრა და მათი შესრულებისთვის რეალური ვადების დაწესება.

საჯარო მმართველობის რეფორმის ორწლიანი სამოქმედო გეგმით სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულებით დასახული ზოგიერთი ამოცანისთვის 2020 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში აქტივობა საერთოდ არ არის განსაზღვრული, ზოგიერთი ამოცანისთვის კი ერთი აქტივობაა განსაზღვრული, რაც აჭიანურებს ამოცანების მიღწევის პროცესს.

ამოცანათა უმრავლესობის შემთხვევაში შეუძლებელი აღმოჩნდა შუალედური მონიტორინგისთვის მონაცემების მოპოვება, რადგან მათ შესასრულებლად საჭირო აქტივობების უმეტესობა 2020 წლის ბოლოსთვის არის გათვალისწინებული.

სამოქმედო გეგმით სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულებით გათვალისწინებული შვიდი ამოცანიდან, 2020 წლის პირველი ექვსი თვის მდგომარეობით, ერთი სრულად შესრულებულია, ერთი - მეტწილად, სამი - ნაწილობრივ, ორი კი - შეუსრულებელი. ამოცანისთვის განსაზღვრული ცხრა ინდიკატორიდან ორი სრულად შესრულებულია, ოთხი - ნაწილობრივ, სამი კი - შეუსრულებელი.

ამოცანების შესრულების შედეგები



- სრულად შესრულებული
- ნაწილობრივ შესრულებული
- მეტწილად შესრულებული
- შეუსრულებელი

ამოცანების ინდიკატორების შესრულების შედეგები



- სრულად შესრულებული
- ნაწილობრივ შესრულებული
- მეტწილად შესრულებული
- შეუსრულებელი

სამოქმედო გეგმით სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულებით 2020 წლის პირველი ექვსი თვისთვის განსაზღვრული შვიდი აქტივობიდან ერთი მეტწილად შესრულებულია, ორი - ნაწილობრივ, ოთხი კი - შეუსრულებელი. აქტივობის შედეგის 14 ინდიკატორიდან (მათ შორის, დამატებითი და ალტერნატიული ინდიკატორები) სრულად შესრულდა ერთი, ნაწილობრივ - სამი, ხოლო 10 არ შესრულდა.

აქტივობების შესრულების შედეგები



- სრულად შესრულებული
- ნაწილობრივ შესრულებული
- მეტწილად შესრულებული
- შეუსრულებელი

აქტივობების შედეგის ინდიკატორების შესრულების შედეგები



- სრულად შესრულებული
- ნაწილობრივ შესრულებული
- მეტწილად შესრულებული
- შეუსრულებელი

რეკომენდაციები

მონიტორინგის ფარგლებში იდენტიფიცირებული ხარვეზებისა და გამოწვევების საპასუხოდ მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს:

01 სამოქმედო გეგმის სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულებაში S.M.A.R.T. ამოცანებისა და ინდიკატორების გათვალისწინება;

02 სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულებით მოცემული ამოცანების რეალურად მისაღწევად საჭირო მაჩვენებლებისა და ინდიკატორების განსაზღვრა;

03 სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულებით მოცემული ამოცანების მისაღწევად საჭირო აქტივობების გათვალისწინება და მათი განხორციელების ვადების სწორად განსაზღვრა;

04 სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის გამარტივების მიზნით, საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლებთან ერთად, შუალედური მაჩვენებლების განსაზღვრა.

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

დოკუმენტი მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია IDFI და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.